



კრიზისი არის შესაძლებლობა...



მამა გაბრიელე პრაბანტინი

**ჯერ კიდევ არსებობს
ძმობის ჰორიზონტალ-
ური და ვერტიკალური
განზომილება, რომელიც
უნდა დავიცვათ და დავა-
ფასოთ, განსაკუთრებით
მაშინ, როდესაც თითქოს
ერთ წამში ყველაფერი
ხელიდან გვეცლება.**

მიმდინარე წლის 11 მარტს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) გენერალურმა მდივანმა, ტედროს ადჰამონ გებრეიესუსმა კოვიდ-19-თან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. ჩვენ მოგვინია უბრეცვლელად კრიზისის ვითარებაში ცხოვრება, მაგრამ ეს არ იყო მოულოდნელი მოვლენა. უფრო მეტიც. 2019 წლის სექტემბერში მსოფლიო ბანკისა და ჯანმოს მოხსენებაში ნათქვამია, რომ „გლობალური პანდემიის საფრთხე რეალურია“. 2015 წელს ის იწინასწარმეტყველა მაიკროსოფტის თანადამფუძნებელმა ბილ გეიტსმა. ნამდვილ პრობლემას კი ის წარმოადგენს, რომ „ჩვენ უფრო მეტად ვენდობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) „რჩევებს“, ვიდრე ჯამნოს რეკომენდაციებს“, - აცხადებს პარიზის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის მკვლევარი, იეზუიტი გაელ ჟირო (Gaël Giraud); დღევანდელი კრიზისი, ისევ და ისევ ჟიროს აზრით, ცხად-

ოფს, რომ „ეფექტური ჯანდაცვის სისტემის გარეშე, რომელიც მდგომარეობს შერჩევასა და ყველას მკურნალობაში, არ არსებობს სხვა რაიმე პროდუქტიული სისტემა, პრაქტიკულად განხორციელებადი კორონავირუსის ეპიდემიის დროს“. სხვა თავდაცვის სისტემების განსახორციელებლად გამოიყოფა უზარმაზარი რესურსები. სამხედრო ალიანსები სახელმწიფოებს შორის ხელს უწყობს ისეთ დიდ სამხედრო წვრთნებს, როგორიცაა „ევროპის მცველი 2020“ (Defender Europe 20), რომელიც სწორედ ამა წლის მარტის თვეში იყო დაგეგმილი და ნატოს მიერ წარდგენილი, როგორც „ბოლო 25 წლის ყველაზე მასშტაბური სწავლება“. ატლანტიკური ორგანიზაცია მთელ დანაყოფს უძღვნის სამედიცინო კვლევებს, რათა დაიცვან ჯარი ბაქტერიოლოგიური ომისა თუ ეპიდემიის შემთხვევაში. იგივე ეხება ჩინეთსა და რუსეთს. ალბათ, იმის ცოდნამ, რომ მზად ვართ ომისათვის, მაგრამ

მოუმზადებელი აღმოვჩნდით მოსალოდნელი ეპიდემიის წინაშე, უნდა გვიბიძგოს ალტერნატიული გადაწყვეტილებების ძიებისაკენ, როდესაც ვნახეთ ნიუ იორკის ცენტრის, მანაუსის, სან პაოლოს მასობრივი საფლავები..., ბერგამოს (იტალია) გვამებით დატვირთული სამხედრო მანქანები, წინა ხაზზე მდგომი და დაუცველობის გამო დაინფიცირებული მედიცინის მუშაკები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ყველაზე განვითარებული და ინდუსტრიული ქვეყნების ლიდერთა შეხვედრების G7-ისა და G20-ის გარდა, მსოფლიოში ყოველწლიურად იმართება არაფორმალური კონფერენციები მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობით, როგორებიცაა ბილდერბერგის კლუბი თუ დავოსის შეხვედრები, რომლებიც ძალაუფლებისა და ცოდნის ეგრეთ წოდებულ მფლობელებს უყრიან თავს მსოფლიოს ბედ-იღბლის განკარგვის მიზნით. მაგრამ რა კრიტერიუმებით? არსებობენ ავტორები, რომლებიც ძალიან კრიტიკულად არიან განწყობილნი „ნაჩქარევი გლობალიზაციის“ მიმართ, რომელიც უკვე აგებს არა საყოველთაო მშვიდობისა და კეთილდღეობის, არამედ „ღვთიური ბაზრის წარმართულ და მონოთეისტურ, ტოტალიტარულ და უცნაურ კულტზე დაფუძნებულ ახალი რელიგიის ტაძარს, sicut Deus“, და, შედეგად, აღმოვჩნდით „სეთი კრიზისის წინაშე, რომელმაც მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ნაწილში უკვე წარმოშვა ის ეკონომიკურ ეფექტი, რომელიც წარსულის ეპიდემიებისათვის იყო დამახასიათებელი“. გლობალიზებულმა ეპიდემიამ უდავოდ წარმოქმნა უზარმაზარი ვალი, ისევე როგორც ომის მომზადების ან მისი შედეგების აღმოფხვრის დროს ხდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 3%-იან ვარდ-

ნას ვარაუდობს. ეს კი მხოლოდ 2020 წელს 9 ტრილიონი დოლარის ზარალს ნიშნავს. ასეთი შედეგების წარმოდგენა ექსპერტებსაც კი არ შეუძლიათ, მაგრამ ჩანს, რომ ამგვარი ვითარება ძალზე ხელსაყრელია მათთვის, ვისაც სურს ამით სპეკულაცია და მოგების ნახვა. როგორ უნდა მოვიქცეთ? შიშისაგან პარალიზების ნაცვლად, ეს უნდა იყოს დრო მენტალიტეტის რადიკალური ცვლისა, „მსგავსი იმისა, რაც ომის დროს ხდება“; მომენტი სახელმწიფოსთვის, როდესაც მან უნდა „გამოიყენოს ბიუჯეტი მოქალაქეთა დასაცავად... ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, იმ უამრავი დასაქმებულისთვის, რომლებიც სახლიდან გამოსვლისას აღმოაჩენენ, რომ მათ დაკარგეს სამსახური“; დრო ვაქცინის საკითხის მოგვარებისა, კორონავირუსის დასამარცხებლად, ისე რომ ეს გახდეს არა მულტინაციონალური ფარმაცევტული კომპანიების (Big Pharma) მონოპოლიის საგანი, არამედ შეიქმნას Covid-19-თან ბრძლისთვის საჭირო ყველა ფარმაცევტული პატენტის გაერთიანების მსოფლიო მექანიზმი. პაპმა ფრანცისკემ არაერთხელ გაიმეორა, რომ კრიზისი, მის მიერ წარმოშობილი დრამისა და ტკივილის მიუხედავად, გა-

ნახლებისა და ცვლილების შესაძლებლობაა იმ პრობლემების ფონზე, რომლებიც წარმოიქმნება. პაპ ფრანცისკეს ენციკლიკა *Laudato si'* (რომელსაც 5 წელი შეუსრულდა) არის არა ფანტაზია, არამედ წერილი სამყაროს უფსკრულზე, კაცობრიობაზე, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროება მკურნალობა. უნდა შეიცვალოს წარმოდგენა, საიდანაც სათავეს იღებს საერთაშორისო ინსტიტუტები, ფინანსები, სამუშაო, დაინტერესებული მხარეები (stakeholder), რომლებიც ცხოვრობენ იმ აზრით, რომ ეკონომიკა გულისხმობს შესაძლებლობების დაუფიქრებელ ზრდას, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ საკუთარი უნარის, ძალისხმევის შესაბამისად, მაგრამ ამ ბრმა ძალის მიერ შექმნილი ყველა სისუსტის დამალვით. თუმცა ამ ექსტრემალურ პერიოდშიც არის მრავალი მოწმობა, რომელიც ტრაგედიის წინაშე ადამიანური სოლიდარობისა და თანადგომის ბუნებრივ არჩევანზე მოგვითხრობს, ამრიგად, ჯერ კიდევ არსებობს ძმობის ჰორიზონტალური და ვერტიკალური განზომილება, რომელიც უნდა დავიცვათ და დავაფასოთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თითქოს ერთ ნაშში ყველაფერი ხელიდან გვეცლება.



ქრონიკა



თარგმნა
რუსუდან ავალიშვილმა

შვედმა კარდინალმა მთავრობის კოზიშია გააკრიტიკა

„COVID-19-ის პანდემიის პირობებში შვედეთის მთავრობამ უარი თქვა საგანგებო მდგომარეობის შემოღებაზე და, ამგვარად, დარტყმის ქვეშ დააყენა მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ნაწილი“, - განაცხადა შვედმა კარდინალმა ანდერს არბორელიუსმა. ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, შვედეთის მთავრობას არ მიუღია მკაცრი ზომები ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ. შედეგად, კორონავირუსისგან სიკვდილიანობის მაჩვენებელი მილიონ მოსახლეზე სამას სამოცდახუთი ადამიანია (<https://www.worldometers.info/coronavirus/> 17 მაისის მონაცემებით). მეზობელ დანიაში, ნორვეგიასა და ფინეთში ერთ მილიონ მოსახლეზე გარდაცვლილთა რიცხვი, შესაბამისად, ოთხმოცდათოთხმეტს, ორმოცდასამსა და ორმოცდათოთხმეტს შეადგენს.

<https://www.catholicregister.org/home/international/item/31590-sweden-s-approach-to-virus-draws-criticism-from-cardinal>

კენია. კორონავირუსის გამო დაიხურა კათოლიკური თავშესაფარი უნარშეზღუდული ბოგონებისთვის

ნაირობის უნარშეზღუდულ გოგონათა კათოლიკური თავშესაფრის ადმინისტრატორმა, მონაზონმა როუზ ქეთრინმა აღნიშნა, რომ მშობლების უმრავლესობა ამისთვის მზად არ იყო. მაგალითად, თავშესაფრის ერთ-ერთი ბენეფიციარის, 23 წლის ფეითის სახლი სამი კვირის წინ წყალდიდობის შედეგად დაინგრა. ისედაც ხელმოკლე ოჯახებმა პანდემიის გამო შემოსავლის ის მწირი წყაროც დაკარგეს, რომელიც აქამდე ჰქონდათ. „ერთ-ერთი გოგონას მოსანახულებლად მივედი და დავინახე, რომ იგი უბრალოდ უყურებდა, როგორ ჭამს მისი და-ძმა. როდესაც ძმას ვკითხე, თუ რატომ არ აჭმევდნენ მის დას, მიპასუხა, რომ სახლში ძალიან ცოტა საკვებია. უნარშეზღუდულ ბავშვებს ოჯახებშიც კი მეორეხარისხოვან ადამიანებად თვლიან და მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა სხვა შვილები დააპურეს“, - აღნიშნა და როუზმა. თავშესაფრის ხუთი ბენეფიციარი, რომელთაც წასასვლელი არსად ჰქონდათ, დროებით სხვა ოჯახებში გაამწესეს. მიმღები ოჯახების ტვირთის შესამსუბუქებლად, თავშესაფრის თანამშრომლები, შეძლებისდაგვარად, მათ საკვებ პროდუქტებს, მედიკამენტებსა და ჰიგიენის საშუალებებს აწვდიან. „ახლა მხოლოდ ერთი კვირის მარაგია დავგრჩა. მაგრამ იმედი გვაქვს, ქველმოქმედები მოგვეშველებიან და ხელს გაუწვდიან ამ გოგონებსა და მათ ოჯახებს“, - ამბობს მონაზონი.

<https://www.catholicnewsagency.com/news/this-kenyan-nun-runs-a-program-for-girls-with-disabilities-50574>

იტალიაში წირვა მრევლის მონაწილეობით 18 მაისიდან განახლდა

ადგილობრივი ხელისუფლებისა და იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის ერთობლივი გადაწყვეტილებით, 18 მაისიდან ეკლესიებში წირვა მრევლის მონაწილეობით აღევლინება. ღმრთისმსახურებისას სავალდებულოა უს-

აფრთხოების ზომების დაცვა, როგორიცაა სოციალური დისტანცია და ტაძრებისა და საღმრთისმსახურებო საგნების დეზინფექცია. კორონავირუსით დასნეობვების ახალი შემთხვევების რიცხვის კლება იტალიაში 25 აპრილიდან აღინიშნება.

<https://www.reuters.com/article/us-health-coronavirus-italy-church/public-masses-in-italy-to-resume-may-18-ending-bitter-church-state-rift-idUSKBN22J24A>

არგენტინაში წირვის მონაწილეები დააკაბიერეს

3 მაისს სან ლუისის ერთ-ერთ კათოლიკურ ტაძარში პოლიციამ მღვდელი და მრევლის ათი წევრი დააკაბა. ოფიციალური აკრძალვის მიუხედავად, წირვა ტაძარში მრევლის მონაწილეობით აღევლინებოდა. „ეს ნამდვილი ცირკია. სან ლუისის პროვინციას პანდემია არ შეხება. ხუთასი ათას ადამიანზე კორონავირუსის მხოლოდ ათი დადასტურებული შემთხვევაა“, - განაცხადა ერთ-ერთმა დაკავებულმა, ადვოკატმა ენრიკე მირანდამ.

სან ლუისის ეპისკოპოსის, პედრო მარტინესის განცხადებით, მის ეპარქიაში ღმრთისმსახურის მიერ ეს რეგულაციებისა და აკრძალვების დარღვევის ერთადერთი შემთხვევაა. „ძალზე სავალალო შემთხვევაა. ჩემს სამოძღვრო ეპისტოლეში ვთხოვე ჩემს დაქვემდებარებაში მყოფ ყველა ღმრთისმსახურს, წირვა მორწმუნეთა თანდასწრების გარეშე აღავლინონ. უკვე ვესაუბრე ტაძრის მღვდელსაც და მრევლსაც. ნანობენ, რომ საგანგებო აკრძალვა დაარღვიეს. სოციალური დისტანციის დაცვის, ანუ ერთმანეთის უსაფრთხოების დაცვის მზაობა გამოთქვეს“, - აღნიშნა იერარქმა.

<https://cruxnow.com/church-in-the-americas/2020/05/10-arrested-in-argentina-for-clandestine-mass-violating-corona-lockdown-rules/>

ნიგერიაში სამინისტრო უფლის სიტყვის უწყობის გამო მოკლეს

შეიარაღებული დაჯგუფების წევრი, რომელმაც იანვარში გატაცებული სემინარისტი, მაიკლ ნნადი მოკლა, ამჟამად ციხეშია. ნიგერიული გაზეთის, Daily Sun-ის კორესპოდენტთან საუბრისას მან განაცხადა, რომ სასიკვდილო საფრთხის მიუხედავად, 18 წლის მაიკლ ნნადი აგრძელებდა იესო ქრისტეს სახარების უწყობას და მოქცევისკენ მოუწოდებდა თავის გამტაცებლებს. აშშ-ს აღმსარებლობის თავისუფლების დესპანმა სააგენტო CNA-ისთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ რელიგიის ნიადაგზე დევნისა და მკვლელობების ფაქტები ნიგერიაში სულ უფრო ხშირი ხდება.


<https://www.catholicnewsagency.com/news/murdered-nigerian-seminarian-was-killed-for-announcing-gospel-killer-says-55229>

ჩინეთის მთავრობის განკარგულებით ეკლესიების გუმბათებიდან ჯვრების მოხსნა ბრძოლდება

მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის ეროვნულმა კომისიამ ჩინეთში COVID-19-ის პანდემიის ჩაცხრობის შესახებ გამოაცხადა, ქვეყანაში ქრისტიანული ტაძრების გუმბათებისა და სახურავებიდან ჯვრების მოხსნა გაგრძელდა. ტაძრების წინამძღვრები მთავრობის ამ გადაწყვეტილებას არცკი ეწინააღმდეგებიან, რათა სამრევლოს უფრო მკაცრი სანქციები აარიდონ. საუბარია არა „იატაკქეშა“ კათოლიკე ეკლესიაზე, არამედ „ჩინეთის პატრიოტული კათოლიკური ასოციაციის“ კუთვნილ ტაძრებზე.

პროტესტის შემთხვევაში ტაძარს ან სამლოცველო სახლს დანგრევა ან დახურვა ემუქრება. კათოლიკე ეკლესიის გარდა, ეს სანქცია პროტესტანტულ ეკლესიებზეც ვრცელდება.


<https://www.ucanews.com/news/china-resumes-cross-removals-as-virus-subsides/87847>



იესო ქრისტეს მსხვერპლის
მნიშვნელობა - უბრალო,
მაგრამ წონის



მამა მიხეილ სჰუმატავა



იესო მოგვევლინა, რათა მსხვერპლად შეეწირა თავი ადამიანთა ცოდვების გამო, მან მოგვცა შესაძლებლობა, თავიდან აგვეცილებინა სულიერი ხრწნილება და შევერთებოდით ღმერთს. ღვთის ეს ჩანაფიქრი ჯერ კიდევ კაცობრიობის ცისკრისას გაცხადდა. ღმერთმა ის დაამოწმა აბრაამის მიერ მორიას მთაზე შეწირულ მსხვერპლში, რითაც მიუთითა იმ ადგილზე, სადაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ქრისტე შეეწირა მსხვერპლად. ამ მსხვერპლის კიდევ ერთი ნიშანი იყო საპასეო კრავი იუდეურ წესში - ის მიუთითებდა წლის იმ დღეზე, როდესაც იესო უნდა მომკვდარიყო.

რატომაა ეს მსხვერპლი ესოდენ მნიშვნელოვანი? ეს საყურადღებო საკითხია. ბიბლიაში გაცხადებულ კანონში ნათქვამია:

ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია... (რომელთა 6:23)

„სიკვდილი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „გამოყოფას“. როდესაც ჩვენი სული გამოეყოფა სხეულს, ფიზიკურად ვკვდებით. ჩვენ ახლაც ამგვარად ვართ სულიერად მონყვეტილი ღვთისაგან. ღმერთი ნიშნავს (უცოდველი), ხოლო როდესაც ცოდვისაგან ვართ წამსდარნი, ჩვენი პირველქმნილი სახე დაბინდული და დამახინჯებულია.

შეგვიძლია, ეს ხატოვნად წარმოვიდგინოთ ორი ციცაბო კლდის სახით: ჩვენ პირდაპირ, გადაულახავი უფსკრულის მეორე მხარეს, იმყოფება ღმერთი. ჩვენ კი,

როგორც ხის მოტეხილი ტოტი, ვიღუპებით - ღვთისგან დაშორებული სულიერად ვკვდებით.

ჩვენი ცოდვები გვაშორებს ღმერთს, ისე როგორც უფსკრული განაცალკევებს ორ კლდეს.

ღვთისაგან ეს დაშორება დანაშაულისა და შიშის გრძნობას იწვევს ჩვენში. ამიტომ, ბუნებრივ ინსტიქტს დამორჩილებულნი, ვცდილობთ, ავაგოთ სხვადასხვაგვარი ხიდი, რათა უფსკრულის ერთი მხრიდან (სიკვდილის მხრიდან) გადავიდეთ მეორე მხარეს, ღმერთთან. ამისთვის სხვადასხვა გზას მივმართავთ: დავდივართ ეკლესიაში (ტაძარი, მეჩეთი), ვიცავთ რწმენას, ვაკეთებთ კეთილ საქმეებს, ვეზმარებით ღვთის შემეცნებაში, ვცდილობთ, ვიყოთ უფრო მეტად გულისხმიერნი, მეტს ვლოცულობთ და ასე შემდეგ. ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ მიმართული ქმედებანი ხშირად მძიმე ტვირთად გვანეება, ხოლო მთელი ცხოვრების მანძილზე მათი შესრულება კი ძნელია. ეს შეგვიძლია ასე გამოვხატოთ:

კარგი საქციელი, მიუხედავად თავისი სარგებლისა, ვერ აგვაგებინებს ხიდებს ღმერთამდე.

სამწუხარო ისაა, რომ მთელი ჩვენი ძალისხმევა, დამსახურება და კეთილი საქმენი, როგორი მართებულიც არ უნდა იყოს, საკმარისი არაა, ვინაიდან საფასური („საზღაური“) ჩვენი ცოდვისა სიკვდილია. ჩვენი ძალისხმევა



ჰგავს იმ „ხიდს“, მშენებლობამდე რომ ვცდილობდით მის გადებას მეორე მხარეს, ღმერთისკენ, მაგრამ, საბოლოოდ, არაფერი გამოგვივიდა. კეთილი საქმეები ვერ მოაგვარებს მნიშვნელოვან საკითხებს. ეს ისევე უშედეგოა, როგორც მცდელობა ონკოლოგიური დაავადების განკურნვისა ვეგეტარიანული საკვებით. თავისთავად ვეგეტარიანობა ცუდი არაა, შეიძლება, სასარგებლოც კი იყოს, თუმცა მას არ შეუძლია ონკოლოგიური დაავადების განკურნება. ამისთვის სრულიად განსხვავებული მედიკამენტებია საჭირო.

ამ „კანონს“ შეიძლება ცუდი ამბავი ვუწოდოთ, იმდენად ცუდი, რომ ხშირად გაგონებაც კი არ გვინდა, და ჩვენს ცხოვრებას ვავსებთ მრავალფეროვანი საქმიანობით, იმ იმედით, რომ ეს კანონი არ განხორციელდება. თუმცა ბიბლია განსაკუთრებით უსვამს ხაზს ცოდვისა და სიკვდილის ამ კანონს, რათა ჩვენი გულისყური მიიპყროს და გვაიძულოს ყურადღება გავამახვილოთ გადანყვეტილების ძიებაზე. ეს გადანყვეტილება მარტივია, მაგრამ მას შორს მიმავალი შედეგები აქვს.

ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო... (რომაელთა 6:23)

კავშირი „ხოლო“ მიუთითებს, რომ აქ არის დაპირისპირება, აქ ნაჩვენებია გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან, სახარების კეთილი უწყება. სწორედ ამაშია ღვთის წყალობა და სიყვარული.

ვინაიდან ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო ღვთის მადლი - საუკუნო სიცოცხლე ჩვენს უფალში, ქრისტე იესოში (რომაელთა 6:23).

სახარების კეთილი უწყება სწორედ ისაა, რომ ქრისტეს მსხვერპლი სავსებით დაძლევს ღვთისაგან ჩვენს სიშორეს. ჩვენთვის ეს ცნობილია, რადგან ჯვარცმოდან სამი დღის შემდეგ ქრისტე სხეულით აღდგა. მაგრამ უმეტესმა ჩვენგანმა არ იცის, როგორ დაასაბუთოს აღდგომა. ერთხელ ლექციას ვკითხულობდი სემინარიაში მონოდეზუსთან შეხვედრაზე და მოვიყვანე ერთი მეტად საფუძვლიანი საბუთი.

იესოს მსხვერპლი წინასწარმეტყველურად იყო გამოხატული აბრაამის მსხვერპლში და, ასევე, საპასეო სამსხვერპლო კრავში. ეს ნიშნები, იესოზე რომ მიუთითებდა, დატოვებული იყო გადანყვეტილების ძიებისას ჩვენი დახმარების მიზნით.

იესო ადამიანი იყო და მან უცოდველად იცხოვრა. იგი ერთდროულად არის ადამიანიც და ღმერთიც, ამიტომ სწორედ მას შეუძლია გადალახოს ის უფსკრული, რაც ამორებს ადამიანს ღვთისაგან. ისაა ცხოვრების ხიდი, რაც შეიძლება ასე გამოვხატოთ:

იესო ხიდია, რომელიც აერთებს უფსკრულს ღმერთსა და ადამიანს შორის.

ყურადღება მიაქციეთ, რაგვარად გვეძლევა იესოს მსხვერპლი. ის გვეძლევა ჩვენ როგორც... ძღვენი. რა არის ძღვენი? თუ ეს ნამდვილად ძღვენია, მას არ სჭირდება მოპოვება არც შრომით, არც დამსახურებით, არაფრით! თუ თქვენ გიხდებათ ძღვენის მოპოვება, მაშინ ეს ძღვენი ძღვენი კი აღარაა, არამედ საზღაურად იქცევა! იგივე შეიძლება ითქვას ქრისტეს მსხვერპლის შესახებაც - არ შეიძლება მისი დამსახურება ან მოპოვება. ეს საჩუქარია. ყველაფერი ასე მარტივია.

რა ძღვენია ეს? ჩვენ მოგვნიჭა მარადიული სიცოცხლე, რაც ნიშნავს, რომ ცოდვა, რომელმაც მოგვითანა სიკვდილი, მეტად აღარ არსებობს. იესო ქრისტე, ხიდი სიცოცხლისა, საშუალებას გვაძლევს, შევეუერთდეთ ღმერთს და, ამგვარად, მივიღოთ სიცოცხლე, რომელსაც არ აქვს დასასრული; განუზომელია ღვთის ჩვენდამისიყვარული. ასეთია ძალა ამ მსხვერპლისა.

როგორ უნდა „გადავიდეთ“ სიცოცხლის ამ ხიდზე? გავიხსენოთ, რა არის ძღვენის არსი. როდესაც გვეძლევა ძღვენი, ორი შესაძლებლობა გვაქვს: უარი ვთქვათ („არა, გმადლობთ“) ან მივიღოთ ის („გმადლობთ შენი ძღვენისათვის. მე ვიღებ მას“). ასევე, უნდა გავაკეთოთ არჩევანი უფლის ძღვენთან დაკავშირებით. საკმარისი არაა მხოლოდ ვირწმუნოთ მისი, გავანალიზოთ

გონებით ან გავიგოთ ცნობიერებით. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: მივიღივართ ხიდზე, მივეახლებით უფალს და ვღებულობთ ჩვენთვის შეთავაზებულ ძღვენს.

იესოს მსხვერპლი ძღვენია, და ყოველმა ჩვენგანმა უნდა აირჩიოს: მიიღოს ის თუ არ მიიღოს.

როგორ მივიღოთ ეს ძღვენი? ბიბლიაში ნათქვამია:

ყოველი, ვინც უფლის სახელს მოუხმობს, გადარჩება (რომაელთა 10:13)

გაითვალისწინეთ: ყოველ ჩვენგანს მიეცა ეს პირობა. რადგან იესო აღდგა მკვდრეთით, ის ახლაც ცოცხალია, და იგი უფალია. შეგიძლიათ მოუხმოთ მას და უბრალოდ გამოითხოვოთ მისგან მადლი. შეიძლება ადრე არასდროს გიცდიათ ეს. ქვემოთ მოცემულია ლოცვა, რომელიც დაგეხმარებათ ამაში. ეს არც მაგიური შელოცვაა, არც ჯადოსნური ძალის მქონე განსაკუთრებული სიტყვები. ესაა ნდობის სიტყვები, რომლითაც, აბრაამის მსგავსად, მივმართავთ უფალს და ვთხოვთ ამ ძღვენს. ჩვენი რწმენისამებრ ისმენს უფალი და გვიპასუხებს. სახარება მარტივია, მაგრამ მას დიდი ძალა აქვს.

უფალო იესო, ვხედავ, ცოდვანი ჩემნი მაშორებენ ღვთისაგან. როგორც არ უნდა ვეცადო, ვერავითარი ძალისხმევა და მსხვერპლი ვერ გადამალახვინებს ამ უფსკრულს. მაგრამ მესმის, რომ შენი სიკვდილი - ესაა მსხვერპლი, ცოდვათაგან რომ განმნმედს. მნამს, შენ, მსხვერპლად რომ შეენიერე, მკვდრეთით აღდექი, და ამიტომაც ვუწყი, რომ ეს მსხვერპლი საკმარისზე მეტია ჩემი ხსნისათვის. გვედრები, განმნმდე ჩემი ცოდვისაგან და მომეცი ნება უფალთან შეერთებისა, საუკუნო სიცოცხლე რომ მქონდეს. არ მსურს ცოდვის მონობაში განვლო ცხოვრება, ამიტომაც გვედრები, განმნმდე მე. გმადლობ შენ, უფალო, ყოველივესთვის, რაც კი მოიმოქმედე ჩემთვის. გვედრები, მიჩვენე გზა, რათა გამოგყვე, ვითარცა უფალს ჩემსას. ამენ.



წმიდა იოანე ბავლე II-ის მშობლები

ამა წლის 11 მარტს კრაკოვის არქიეპისკოპოსმა მარეკ ედრა-შევსკიმ განაცხადა, რომ წმიდანობის საკითხთან დაკავშირებით კონგრეგაციიდან ნებართვის მიღების შემდეგ პოლონეთის ეპარქიამ დაიწყო წმ. იოანე ბავლე II-ის მშობლების ნეტარად შერაცხვის საკითხის განხილვა.

ემილია ლიტველი ხელოსნის ქალიშვილი იყო, ხოლო კაროლ ვოიტილა მეკერავის ვაჟი. ემილიამ დაამთავრა „ღვთაებრივი სიყვარულის დების“ მონასტერთან არსებული სკოლა. კაროლმა ჯერ ქრა-კერვას მიჰყო ხელი, შემდეგ კი შეუერთდა ჰაბსბურგების ჯარს და ოფიცრის ნოდება მოიპოვა. კაროლი და ემილია ერთმანეთს კრაკოვის კათოლიკე ეკლესიაში შეხვდნენ. ისინი 1906 წლის 10 თებერვალს დაქორწინდნენ კრაკოვში. წყვილს სამი შვილი შეეძინა: ედმუნდი, 1906 წელს, 1916 წელს - ოლგა (რომელიც დაბადების შემდეგ მალევე გარდაიცვალა), და 1920 წელს კი კაროლ უმცროსი, მომავალი პაპი. ემილია სრული თვითმძღვნიტა და ერთგულე-ბით მართავდა საოჯახო საქმეებს. ცოლ-ქმარი უბრალო ცხოვრებით ცხოვრობდა, არც შეძლებულად და

არც ღარიბად. მათი ქორწინება ნამდვილ ქრისტიანულ რწმენაზე იყო დამყარებული. ეს იყო მოწოდებულთა კავშირი, როგორც პასუხი ღვთის მოხმობაზე, რამაც გავლენა მოახდინა ბავშვების განსაკუთრებული ხასიათის ჩამოყალიბებაზე. კაროლმა და ემილიამ შვილებს გადასცეს თავიანთი რწმენა, ასწავლეს ლოცვა, თავდადება და გულმონყალება, უჩვენეს სათნოების მაგალითი, მცირე, მაგრამ სავსე დიადი საქმეებით, რომელიც არ აისახა გაზეთებისა და წიგნების გვერდებზე, მაგრამ რომელმაც მოგვივლინა ექიმი, სიცოცხლე რომ განიზა ახალგაზრდა ქალისთვის, ქრისტეს სრული მიბაძვით და წმიდა პონტიფექსი, თავისი ღრმა მოძღვრებითა და სანიმუშო რწმენით. ემილია 1929 წელს გარდაიცვალა, მეუღლესთან ოცდასამწლიანი თანაცხოვრების შემდეგ.

რთული ორსულობა

პოლონელი ჟურნალისტი მილენა კინდიუკი გვიახმობს, რომ ემილიამ გადაწყვიტა, გაეჩინა მომავალი პაპი, მიუხედავად იმისა, რომ ფეხმძიმობა საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს; ექიმები მას აბორტის გაკეთებას ურჩევდნენ. იან მოსკალა, გინეკოლოგი ვადოვიცეში, წუხდა ამ

სუსტი ქალის გამო, რომელმაც 1906 წელს პირველი ვაჟიშვილი, ედმუნდი გააჩინა, მაგრამ 1916 წელს დაკარგა ქალიშვილი ოლგა მარია, რომელიც მშობიარობის შემდეგ მალევე გარდაიცვალა. „მან აბორტი უნდა გაიკეთოს“, - თქვა ექიმმა, როცა 1919 წელს შეიტყო, რომ ემილია კაროლს ელოდებოდა, და მკაცრად გააფრთხილა ქალი, ესხნა საკუთარი სიცოცხლე და ეფიქრა არა ჩასახულ ბავშვზე, არამედ უფროს ვაჟზე.

მაგრამ ემილიამ არ ისმინა ექიმის და მეუღლემაც მხარი დაუჭირა მის გადაწყვეტილებას. იგი „პატიოსანი, ერთგული, სერიოზული, განათლებული, თავმდაბალი, დიდსულოვანი, პასუხისმგებელი, გულუხვი, დაუღალავი და ღრმადმორწმუნე ადამიანი იყო, რომელმაც მეუღლესთან ერთად გადაიტანა მძიმე ორსულობა, რასაც მოჰყვა მშობიარობა მათივე სახლში, ვადოვიცაში, 1920 წლის 18 მაისს. ასე დაიბადა იოსები, ძლიერი და ჯანმრთელი ბავშვი, შემდგომ პირველი არაიტალიელი პაპი და პირველი პოლონელი პონტიფექსი ისტორიაში.

მოაფადა
და ანა მარია პრიველარიო



ვიაროთ ერთად... ამგვარად, ყოველთვის მზად ვართ გარშემომყოფთა დასახმარებლად

როცა იესო ნაპირზე გადმოვიდა და დაინახა უამრავი ხალხი, შეებრალა ისინი, ვინაიდან უმწყემსო ცხვრებით იყვნენ (მარკ. 6:34).

იესო თავად უწოდებს თავს მოგზაურს, რომელსაც „არსად არა აქვს თავის მისადრეკელი“ (მათე 8:20). ის მიემართება, რათა ყველას აუწყოს კეთილი ამბავი: ღმერთი დაუახლოვდა ადამიანს, ის უკვე ცვლის ამ სამყაროს, ანახლებს ადამიანთა მთელ მოდგმას და ჩვენგან ელის, რომ გავხდებით მისი ჩანაფიქრის თანამონაწილეები.

თავისი ცხოვრებით იესო გვიჩვენებს, საიდან უნდა დავიწყოთ - იგი ყურს მიაპყრობს ყველაზე მცირეთა და მოწყვლადთა გასაჭირს. ის, რომ იესოს შეეძლო ასეთი გულისხმიერი ყოფილიყო სხვათა მიმართ - მოწმობს მის უწყვეტ კავშირზე ღმერთთან. თავისი ცხოვრების ყოველ წამს იგი მინდობილი იყო სული წმიდას.

ამქვეყნად მოსვლისას, ქრისტემ სავსებით გაიზიარა ადამიანური ბუნების ყველა სიმძიმე. ჯვარზე სულთმობრძავმა ბოლომდე შესვა ტანჯვის ფიალა, გამოიჩინა უაღრესი ერთგულება ღვთისადმი, ჩვენადმი. მან თავისი აღდგომით გვიჩვენა, რომ ღმერთი თავისი სიყვარულით მთელ კაცობრიობას აძლევს ახალი ცხოვრების

დანეების შესაძლებლობას.

მრავალი ადამიანი, ვინც ტანჯვა და დამცირება განიცადა, ამქვეყნად უცხოდ გრძნობს თავს. ქრისტეს კვალდაკვალ ქრისტიანებს ღვთის იმედი აქვთ, და სწორედ ეს არ აძლევს მათ საშუალებას, დაადგენ გულგრილობის გზას, ეხმარება, მუდამ ყურადღებიანი იყვნენ გარემომცველი სამყაროსადმი და მზადყოფნი მოქმედებისათვის.

მეორე საუკუნეში მცხოვრები უცნობი ავტორი ასე ახასიათებს ქრისტიანებს: „ისინი სახლობენ თავიანთ სამშობლოში, მაგრამ როგორც დროებითი მაცხოვრებლები... ყველა უცხო ქვეყანა სამშობლოა მათთვის და ყველა სამშობლო - უცხო ქვეყანა“ (ეპისტოლე დიოგენეტოსის მიმართ).

- დავისახოთ კონკრეტული ამოცანა, რათა ქრისტეს მზრუნველობა ლატაკთადმი ჩვენი ცხოვრების ნაწილიც გახდეს.
- შევინარჩუნოთ კავშირი ადგილობრივ ეკლესიებთან და, ჯვარსა და ქრისტეს აღდგომაზე ფიქრებით, სისტემატურად შევიკრიბოთ ერთობლივი ლოცვისათვის.

თარგმანა ჰერიკო ნოზაძე



ბექა ჩილინგარაშვილი

რას ნიშნავს გნაპლუს ღმერთის?

რწმენა შეიძლება ნიშნავდეს ბევრ რამეს, გააჩნია, როგორ გამოვიყენებთ ამ სიტყვას. განვიხილოთ შემდეგი სამი მაგალითი:

ექიმმა შეიძლება თქვას: „მნამს, რომ ეს წამალი თქვენ დაგეხმარებათ“. სიტყვა „რწმენა“ აქ ნიშნავს „დარწმუნებულობას“, ექიმმა დიაგნოზი დასვა და ის დარწმუნებულია, რომ ამ წამალს შეეძლება შეუძლია.

ტურისტმა შეიძლება თქვას: „მნამს, რომ გამცილებელი სიმართლეს ამბობს და გორის მწვერვალამდე კიდევ ორი საათის გზაა დარჩენილი“. აქ სიტყვა „რწმენა“ ნიშნავს „ნდობას“. ტურისტი ენდობა გამცილებელს, რომ მან იცის გზა.

ფეხბურთელმა შეიძლება თქვას: „მნამს ჩემი ნაკრების (გუნდის)“. ეს ნიშნავს, რომ ის მთლიანად ენდობა (ეყრდნობა) თავის მეგობრებს.

სამი მაგალითი და სამი მნიშვნელობა. რწმენის ამ სამ ფორმას ჩვენ ვხვდებით რელიგიაშიც და ეს შეიძლება ნიშნავდეს შემდეგს: პირველი - მორწმუნეს სწამს, რომ ღმერთი არსებობს, ისე როგორც განხილულ მაგალითში - ექიმს. ასეთი რწმენა ნიშნავს „დარწმუნებულობას“. მას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზეზი, მაგ.: პირადი გამოცდილება, შინაგანი გრძნობები... მეორე - ტურისტისა და

გამცილებლის შემთხვევა. აქ რწმენა შეიძლება ნიშნავდეს ნდობას, ადამიანს სწამს და ენდობა იმ ხალხს, რომელმაც გადასცა მას რწმენა. გამართლებულია თუ არა ეს რწმენა? როდესაც გნამს, რომ გამცილებელმა იცის გზა, თავისი საქმე, შენ შეგიძლია მას მიენდო... ახლა შევხედოთ იესოს ცხოვრებას, მოციქულებსა და წმიდანებს, მათ სწავლებასა და წერილებს, მათ თვითუარყოფასა და თავმდაბლობას. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი მაგალითი მსგავსია გამცილებლის მაგალითისა. მესამე - როგორც ფეხბურთელი ენდობა (ეყრდნობა) თავის გუნდს, ასევე, ადამიანი ენდობა ღმერთს. ამ შემთხვევაში რწმენა სწორედ ღვთისადმი მთლიანად მინდობასა და მასზე დაყრდნობას ნიშნავს.

ეს სამივე მაგალითი გვეხმარება ღვთის რწმენაში, მაგრამ მხოლოდ მესამე მაგალითი გვაგებინებს, თუ რას ნიშნავს რელიგიური რწმენა, ცოცხალი ურთიერთკავშირი ღმერთთან. როდესაც ვამბობთ, ღვთის მწამსო, უნდა ვგულისხმობდეთ არა მხოლოდ მისი არსებობის რწმენას, არამედ იესოს სახარებასა და მის სწავლებასაც. უპირველეს ყოვლისა კი იმას, რომ სავსებით ვენდობით ღმერთს და ვიცით, რომ ის მუდამ ჩვენთანაა. აი, ზუსტად ამას ნიშნავს ღვთისადმი რწმენა.





„საიდუმლო სერობა“
რომაული კატაკომბების
ეპოქა

თარგმნა ვერიკო ნოზაძე

„საიდუმლო სერობა“

გამოჩენილ მხატვართა თვალით

ქრისტიანობის ისტორიის ორი ათასზე მეტი წლის განმავლობაში მხატვრები გამოსახავდნენ საიდუმლო სერობის ამბავს, როგორც ქრისტიანთათვის ყველაზე ძვირფასსა და მნიშვნელოვან ქმედებას. წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს.

მიჩნეულია, რომ საიდუმლო სერობის პირველი გამოსახულება მიეკუთვნება ჯერ კიდევ რომაული კატაკომბების ეპოქას.

ადრეული ტრადიციის უდავო ნიმუშია ბიზანტიური ტაძრის სანტ აპოლინარე ნუოვოს მოზაიკა რავენაში (VI საუკუნე), სადაც ჩანს ერთობ არასტანდარტული მიდგომა მოვლენისადმი.

ქრისტეს დიდი ფიგურა და მის უკან მსხდომი მოციქულები ქმნიან მჭიდრო ნახევარწრეს მაგიდის ახლოს, რომელზედაც დევს... ხუთი პური და ორი თევზი, ე. ი. პურის გამრავლების სასწაულის „ატრიბუტები“, რომელიც აღიქმება როგორც ევქარისტის „პროლოგი“. ასეთი იკონოგრაფიული კომბინაცია გვეხმარება, შევიგრძნოთ კავშირი საიდუმლო სერობაზე იესოს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს

შორის: „ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად“ (ლუკა 22, 19) და მიმართვა მონაფეებისადმი პურის გამრავლებისას: „თქვენ მიეცით მათ საჭმელი“ (მარკ. 6, 36).

ევქარისტის გამოსახვისას მრავალი ფერმწერი ცდილობდა, უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ამბის მისტიკურ საიდუმლოს. ზოგჯერ ამას პარადოქსული შედეგი მოჰყვებოდა. ტინტორეტოს მიერ ვენეციური ტაძრის სან ჯორჯო მაჯორესთვის (1592-1594) შესრულებულ სურათზე „საიდუმლო სერობა“ მოციქულთა ზიარების ამსახველი სცენის გარშემო შექმნილია გასაოცარი სინათლის ატმოსფერო.

ბნელი სივრცე, სადაც ხდება მოქმედება, გაბრწყინდება იესოს თავზე ნათლით, მოციქულთა თავებზე შარავანდე-



„საიდუმლო სერობა“, მოზაიკა,
სანტ აპოლინარე ნუოვო,
რავენა, იტალია

დით და სანათის შუქით ჭერზე, რომლის გარშემოც ჩანს მფრინავ ანგელოსთა ფიგურები. ეს მძლავრი და ერთდროულად სინათლის გაელვებით თვალის მსუბუქად მომჭრელი შუქი გამოსახულებას განსაკუთრებულ მთრთოლვარებას ანიჭებს, რაც უფრო ძლიერ შეგვაგრძნობინებს მომხდარის სულიერ საიდუმლოს.

ანდრეა დელ კასტანიოს მიერ ფლორენციის სანტა აპოლონიას სატრაპეზო მონასტრისათვის შექმნილ კომპოზიციაში (1447) მოციქულთა სახეებზე შეიმჩნევა ღრმა მწუხარება, იოანე ამაღლვებლად ეამბორება ხელზე მოძღვარს, ხოლო მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდომი იუდას ბნელი ფიგურა, მთელი გამოსახულების ექსპრესიულ კოლორიტთან შეხამებით, მწვავე ემოციურ დაძაბულობას ქმნის.

ფერმწერთა უმეტესობა ცდილობდა ყველანაირი ხელმისაწვდომი საშუალებით განეცალკევებინათ იუდა, რითაც

აძლიერებდნენ ემოციურ დაძაბულობას. იუდა ხან მაგიდის მეორე მხარეს აღმოჩნდებოდა „ამაყ მარტოობაში“, ხან გასასვლელთან ახლოს მიკუნჭული, ან სერობიდან მიმავალი.

საიდუმლო სერობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სურათია ლეონარდო და ვინჩის მიერ შესრულებული მილანის სანტა მარია დელა გრაციას მონასტრის (1494-1497) სატრაპეზოს კედლის მოხატულობა.



ტინტორეტო,
„საიდუმლო სერობა“
სან ჯორჯო მაჯორე, ვენეცია

ანდრეა დელ კასტანო,
„საიდუმლო სერობა“,
ფლორენცია, სანტა აპოლონიას
მონასტერი, სატრაპეზო

მისი მოციქულები, ოთხ ჯგუფად გაყოფილნი, ენერგიულად ამოძრავებენ ხელებს, ერთმანეთში განიხილავენ იესოს სიტყვებს. იოანეც კი, რომელსაც, მისივე სახარების თანახმად, თავი იესოს მკერდზე უნდა მიედო, ჩართულია საერთო „დისკუსიაში“ - იგი, მოძღვარს ოდნავ მოცილებული, უსმენს პეტრეს, მისკენ რომ გადახრილა. შესაძლოა, ნაგულისხმევია

მეორე, ღვთაებრივ ბუნებას, გადაჰყავს იგი მის გვერდით მსხდომ მოციქულთათვის მიუწვდომელ სხვა განზომილებაში. იესოს სახეზე ერთდროულად იკითხება მწუხარებაც და უსაზღვრო სიმშვიდეც, თავისი ხვედრისადმი თავმდაბალი მორჩილება.

კონტრასტი მოციქულთა საქციელის დინამიკასა და იესოს ფიგურის სტატიკურო-




მომენტი, როცა პეტრემ „ანიშნა მას და უთხრა: ჰკითხე, ვინ არის, ვისზეც თქვაო“ (იოანე 13:24).

მოციქულთა საქციელის დინამიკა მკვეთრ კონტრასტს ქმნის იესოს აბსოლუტურ სიმშვიდესთან. მისი ფიგურა კომპოზიციის ცენტრში მკაცრად სიმეტრიულია, რამდენადაც მისი ცხვირის ფუძის არეში მოქცეულია ზედა პალატის სივრცის ხაზოვან პერსპექტივაში გადასვლის წერტილი.

ლეონარდო თითქოს „აგებს“ მის ფიგურას, ისე როგორც არქიტექტორი აგებს თავისი მომავალი შენობის ნახაზს. ამით იგი ხაზს უსვამს იესოს პიროვნების

ბასა და კომპოზიციურ წონასწორობას შორის აძლიერებს სიტუაციის ფსიქოლოგიურ სიმწვავეს. შესაძლოა, ლეონარდო ეყრდნობოდა ლუკას სახარებაში აღწერილს, სადაც ნათქვამია, რომ მოციქულებმა „დაიწყეს ერთმანეთის გამოკითხვა: რომელი მათგანი გააკეთებდა ამას“ (ლუკა, 22, 23. თუმცა სხვა სინოპტიკურ სახარებათა ავტორები ამტკიცებენ, რომ ისინი ამის შესახებ იესოს ეკითხებოდნენ). შედეგად, მოციქულები ისე გაერთნენ ერთმანეთთან საუბარში, რომ უკვე მაშინვე ფსიქოლოგიურად მართო დატოვეს ჯერ კიდევ მათ გვერდით მყოფი საყვარელი



ლეონარდო და ვინჩი,
„საიდუმლო სერობა“,
სანტა მარია დელა გრაცია,
სატრაპეზო, მილანი

მოძღვარი. სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი - ესაა იუდას ფიგურის მდებარეობა, საწინააღმდეგოდ ყველა იმ ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც იგი ყველასაგან განცალკევებული უნდა იყოს.

იუდა მოთავსებულია პეტრესა და იოანეს შორის, ე. ი. იესოსთან ძალიან ახლოს, გარდა ამისა, მისი სამოსის ფერებში არის ცისფერიც - ფერი იესოს სამოსელისა, რაც მიუთითებს მის ღვთის ძეობაზე. შესაძლოა, ასეთი მდებარეობა ერთგვარი მინიშნებაა შემდგომში პეტრეს მიერ მისი უარყოფისა. მაგრამ გამორიცხული არაა, რომ უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო იუდას წარმოჩენა ისეთივე მოციქულად, როგორებიც იყვნენ სხვები, განსაკუთრებით ხაზგასმა იმისა, რომ მანაც ასევე მიიღო უნიკალური მონოდება, გამხდარიყო ქრისტეს მონაფე, მონოდება, რომელსაც მოცემულ მომენტში ის საკუთარ თავში კლავს.

ელ გრეკოს (1696, ეროვნული გალერეა, ბოლონია) იუდას ფიგურა განთავსებულია მაყურებლის უშუალო სიახლოვეს (რაც აშკარად შეიძლება მივიჩნიოთ მინიშნებად ცნობილ შინაარსზე) და თავისი შავი სამოსით მკვეთრად გამოიყოფა საერთო წითელ-ყვითელ ფერთა გამიდან.

საინტერესოა, რომ გასული საუკუნის შუაწლების (ე.ი. კოლონიური სისტემის დაშლის შუაგულში) აფრიკულ ფერწერაში იუდა ხშირად აღმოჩნდება ერთადერთი თეთრკანიანი მოქმედების მუქკანიან მონაწილეთა შორის (რომელსაც მიეკუთვნებოდა მაცხოვარიც).

ელ გრეკო,
„საიდუმლო სერობა“,
ეროვნული გალერეა, ბოლონია



გაგრძელება შემდეგ ნომერში

http://hristiani.ru/izobrazhenija-tajnoj-vecheri-izvestnymi-hudozhnikami/?fbclid=IwAR2HS0D_xVEik_liM6T9KhWmxUNBtzGiETw9eVL7hA_ffQq_bHbA8bq-D4

დაცემა თუ წამოდგომა?

ყოველი ადამიანი განიცდის დეპრესიასა და კრიზისს, ეს ნორმალურიცაა. წმ. იოანე პავლე II თავის ერთ-ერთ სამწყსო წერილში წერს: „ყოველი ადამიანის წინსვლას თავისი კრიზისი მოჰყვება“. ერთხელ, ერთ წიგნში წაგიკითხე: „საშინელება ის კი არაა, რომ დაეცი, არამედ წამოდგომის სურვილი რომ არ გაქვს.“ ნამდვილად, ყოველ ჩვენს წინსვლას მოჰყვება სხვადასხვა პრობლემა, მაგრამ ხანდახან ჩვენ ამ პრობლემებზე ვჩერდებით და აღარ გვაქვს სურვილი, რომ წამოვდგეთ და წინსვლა განვაგრძოთ. აი, ზუსტად ეს არის საშინელება, როდესაც კარგავ წამოდგომის სურვილს იმის შიშით, რომ ხვალ უარესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდები.

მსურს, თქვენთან ერთად გავიხსენო „ჯვრის გზა“, გზა, რომელიც იესომ გაიარა პილატეს პრეტორიიდან გოლგოთამდე, ამ 14 ეპიზოდთან რამდენიმე: იესომ იტვირთა თავისი ჯვარი! (შეჩერება II) მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, აუცილებლად გააკრავდნენ ჯვარზე, მას არ შეშინებია, უფრო მეტიც, აიღო ჯვარი და გაუდგა გზას გოლგოთისაკენ. იესოს ადვილად არ გაუვლია ეს გზა, იგი, ჯვრის სიმძიმისა და ჯვრისკაცთა მიერ ცემისგან დაუძლურებული, სამჯერ დაეცა (შეჩერება III, VII, IX). თუმცა, მას არ დაუკარგავს წამოდგომის სურვილი, დგებოდა და აგრძელებდა გზას. ხომ შეეძლო, როდესაც პირველად, მეორედ, მესამედ დაეცა ჯვრის ქვეშ, აღარ წამომდგარიყო და აღარ გაეგრძელებინა გზა? რა აზრი ჰქონდა, მაინც ხომ უნდა მომკვდარი-

ყო? მაგრამ იგი არ დანებდა, არ უთხრა ჯვრისკაცებს, აქვე მომკალითო. სწორედ წინსვლის დიდმა სურვილმა შეაძლებინა მას გოლგოთაზე ასლვა, სადაც იმავე ჯვარზე გააკრეს, რომლის ქვეშაც სამჯერ დაეცა და რომელზედაც აღესრულა. ჩვენ ვიცით, რომ ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. ის აღდგა მკვდრეთით და, ამგვარად, სიკვდილზე გაიმარჯვა. ვფიქრობ, ზუსტად ამ გზით დაგვანახა იესომ, რომ ჩვენც შევძლებთ მსგავსად მოვიქცეთ, რამეთუ ჯვარს მივყავართ ხსნისაკენ! ყოველი ქრისტიანი, თავისი ნათლობის მეშვეობით, მონოდება, მიბაძოს ქრისტეს, აიღოს თავისი ჯვარი და გაემუროს გოლგოთისაკენ. ეს ჯვარი კი შეიძლება იყოს ჩვენი ყოველდღიური პრობლემები, გოლგოთა კი ამ პრობლემების გადაწყვეტა ღმერთთან ერთად. რა თქმა უნდა, ეს გზა იოლი არ არის, რაც იესომაც დაგვანახა, ის ხომ სამჯერ დაეცა ჯვრის ქვეშ. თუმცა ამით მან ისიც გვიჩვენა, რომ წამოდ-

გომა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაცემა. დაცემა ყველას შეუძლია, ხოლო წამოდგომა - მხოლოდ ძლიერებს, ეს ძალა ყოველ ქრისტიანს გააჩნია და თუ ვიქნებით რწმენაში ძლიერნი და მივბაძავთ ქრისტეს, მაშინ შევძლებთ გოლგოთაზე ასვლას. არჩევანი შენზეა, დაეცე და დანებდე, თუ წამოვდგე და გააგრძელო გზა იესოს მსგავსად! როგორ უნდა წამოვდგე? პირველ რიგში, საჭიროა დიდი სურვილი წამოდგომისა, შემდეგ კი - ღმერთისთვის დახმარების თხოვნა. ღმერთთან სასაუბროდ ეკლესია სხვადასხვა საშუალებას გვთავაზობს: ლოცვა, წმ. წერილის კითხვა, თაყვანისცემა (ადორაცია), წმ. წირვა და ა.შ. თუ ღმერთს მიენდობი, ის აუცილებლად დაგეხმარება წამოდგომასა და გზის გაგრძელებაში, რომელიც მიგიყვანს ხსნისაკენ, ცათა სასუფეველში.

p.s. მსურს, წინასწარ აღვნიშნო, რომ აქ დაწერილი მხოლოდ ჩემი, როგორც ქრისტიანის, პირადი აზრია.





წმ. ბასილი, ბაგრატ III-ის ძე - მოხსენიების დღე - 9 ივნისი

ღირსი ბასილი იყო საქართველოს მეფის, ბაგრატ III-ის შვილი (XI საუკუნის I ნახევარი). წმიდა ბასილი მოღვაწეობდა ხახულის ლავრაში და იქაურ სასულიერო საგანმანათლებლო საქმიანობას ხელმძღვანელობდა. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენამდე არ მოუღწევია. გიორგი მცირის თქმით, იგი ყოფილა „მოდლური და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისა“. იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“ წმიდა ბასილი დახასიათებულია როგორც ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში განსწავლული მწიგნობარი, მთარგმნელი, „რიტორ-მომთხრობელი და მაღალ ფრასასა ზედან დამთხზველი“, მასვე უწოდებდნენ „ქართველთა ეკლესიათა სამკაულს“. შემდგომ ბასილი ათონის მთაზე გადასულა და იქ დაუწერია „გალობანი წმიდისა მამისა ეფთვიმესნი“. გარდაიცვალა იქვე, ივერთა მონასტერში.



წმ. მიქელ პარეხელი - მოხსენიების დღე - 9 ივნისი

ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდანი, პარეხის მონასტრის ამჟენი მღვდელი და მისი პირველი წინამძღვარი ღირსი მიქელ პარეხელი წარმოშობით შავშელი იყო, სოფელ ნორგიალიდან. გავრცელებული შეხედულებით, მიქელ პარეხელი ცხოვრობდა IX საუკუნეში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით - VI-VII საუკუნეებში. იგი მიძნაძორს აღიკვეცა მონაზვნად და იქ მოღვაწეობდა. ცნობილია, რომ ის იყო ერთ-ერთი უდიდესი ასკეტი და, ამასთანავე, თავისი ქვეყნის აღორძინებისათვის მებრძოლი მამა. ბასილი ზარზმელის ცნობით, მიქელ პარეხელი ყოფილა შიო მღვიმელის მოწაფე. შემდეგ მისულა კლარჯეთში და ერთხანს ოპიზის მონასტერში მოღვაწეობდა. როცა ხანძართაში მოღვაწე ბერთა შესახებ გაიგო, იქ ჩავიდა, პარეხს დაემკვიდრა და, ღვთის მოწოდებით, კაცთაგან მიუვალ, კლდოვან ადგილას თავის მოწაფესთან ერთად აუშენებია მცირე ეგვტერი და ძმათა საცხოვრისი მოუწყვია. თვითონ მარტომყოფობას ეძიებდა და ღვთისათნოდ ცხოვრობდა. მას მრავალი მოწაფე ჰყავდა, მიქელ პარეხელის მოწაფეთა შორის ცნობილი ყოფილან ბასილი და მარკელაოზი, აგრეთვე ზარზმის მონასტრის დამაარსებელი სერაპიონ ზარზმელი.

ღირსი მიქელი დიდხანს მოღვაწეობდა პარეხში, აღესრულა ღრმა მოხუცებულობაში, დაკრძალეს მის მიერ დაარსებულ სავანეში.



წმ. იოანე მთაწმინდელი - მოხსენიების დღე - 25 ივნისი

ნეტარი მამა, იოანე (ერისკაცობაში ვარაზ-ვაჩე ჩორდვანელი) დაიბადა სამცხეში, დაახლოებით 920 წელს. წმიდანის მამა, საქართველოს მეფის, დავით კურაპალატის კარზე დაახლოებული დიდებული იყო. იოანეს ბავშვობიდანვე საუკეთესო განათლება მიაღებინეს. იგი ბერად შედგა ოთხთა ეკლესიის ლავრაში; შემდეგ ბიზანტიაში, ოლიმპის მთაზე მოღვაწეობდა, სადაც მიიყვანა თავისი მცირეწლოვანი შვილი ექვთიმე. 965 წელს იოანე, ექვთიმესა და რამდენიმე მოწაფესთან ერთად, გადასახლდა ათონის მთაზე, ათანასე დიდის ლავრაში. ქართველმა ბერებმა ჯერ იოანე მახარებლის ეკლესია ააშენეს, შემდეგ დაემკვიდრდნენ ათონის ივერთა მონასტერში, რომლის აღმშენებელი და პირველი წინამძღვარი იოანე მთაწმინდელი იყო. იოანემ, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ექვთიმეს განსწავლაში, სთხოვა მას, ხელი მიეყო ბერძნულიდან თარგ-

„წმიდანი...“

საქართველოში

მანისათვის, რადგანაც ქართულ ენაზე იმ დროს არ მოიპოვებოდა მრავალი წიგნი. ექვთიმე დამორჩილდა მამის ნებას, შეუდგა საეკლესიო წიგნების გადმოთარგმნას ქართულად და ყველანი განაცვიფრა თავისი ნიჭიერებით.

წმიდა იოანე გარდაიცვალა 1005 წლის 14 ივნისს. ექვთიმემ მამის ცხდარი ჯეროვანი პატივით დაკრძალა და მის სამარხზე წმიდა მთავარანგელოზთა ეკლესია ააშენა. იოანესა და ექვთიმე ათონელების ცხოვრება აღწერა ქართველმა მწერალმა და მწიგნობარმა გიორგი ათონელმა.

წმ. ისიდორე სამთავნელი - მოხსენიების დღე - 25 ივნისი

წმიდა ისიდორე, VI საუკუნის შუა წლებში მოღვაწე ერთ-ერთი ათცამეტი ასურელი მამათაგანი, თავდაპირველად ზედაზნის მონასტერში მოღვაწეობდა, შემდეგ ქართლში, მდინარე ლეხურის აღმოსავლეთით, სამთავისის სანახებში, დააარსა მონასტერი. დასაფლავებულია სამთავისის ტაძრის ტერიტორიაზე. ისიდორე სამთავნელის ცხოვრების ამსახველი ცალკე თხზულება არ შემორჩენილა. მის შესახებ ცნობები მოიპოვება სხვა ასურელ მამათა ცხოვრების ტექსტებში.



წმ. შალვა ახალციხელი - მოხსენიების დღე - 30 ივნისი

XII-XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე წმიდა მონაწილე შალვა ახალციხელი, გამორჩეული მეომარი და თამარ მეფის ვეზირი (ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი, შემდეგ - მანდატურთუხუცესი), ერისთავთერისთავი, ჯავახეთის მონაპირე, თორელთა საგვარეულოს ახალი განშტოების - ახალციხელთა გვარის ფუძემდებელი იყო. შამქორის ბრძოლაში (1195) მან ხელთ იგდო ხალიფის დროშა, რომელიც თამარ მეფემ გელათში ხახულის ღვთისმშობელს შესწირა. ამ ომის მსვლელობას ეხება განძანის წარწერა, რომელშიც შალვა ახალციხელის შესახებ ვკითხულობთ: „ძლიერი და უძლეველი ყოველთა მტერთაგან... რომელმან ძალითა ლომისაითა და მკლავითა თვისითა შეაძრწუნა ყოველი სოფელი სპარსეთისაი“.

შალვა ახალციხელი სარგის თმოგველთან ერთად სარდლობდა ქართველთა ლაშქარს კარისთვის (ყარსი) ბრძოლებში. ბასიანის ბრძოლაში (1203) შალვა და მისი ძმა ივანე სარდლობდნენ მესხთა მენინავე ლაშქარს. ბასიანის ომის შემდეგ შალვა ახალციხელი მანდატურთუხუცესი გახდა და ეს თანამდებობა მას 1225 წლამდე ეპყრა. თამარის მეფობის ბოლო წლებში მან თურქთაგან გაათავისუფლა კერროლი (სამხრეთ საქართველოში).

გარნისის ბრძოლაში (1225) შალვა ივანე ახალციხელთან ერთად სარდლობდა მესხთა მენინავე ჯარს. ივანე პირველმა მხარგრძელმა ძმებს დამხმარე ძალა არ მიაშველა. ახალციხელები მტრის სიჭარბეს არ მოერიდნენ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ. გარნისის კლდეებში თავმჯდომარე ივანეს მაღალი კლდიდან მოწყვეტილი ქვა დაეცა და იქვე გარდაიცვალა. შალვა კი ტყვედ ჩაიგდეს ხვარაზმელებმა. ჯალალედინმა ტყვისათვის შეუსაბამო პატივი მიაგო მას, განზრახული ჰქონდა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი გამოყენება „ახოვნებასა“ და „წყობათა შინა სიქველის გამო“, მაგრამ ერთი წლის შემდეგ „ქრისტეს სჯულის არ დატევების გამო“ სიკვდილით დასაჯა.



ათეისტთა დეტექტივთა იესო ქრისტეს რეალურობის გამოძიება გადანაცვითა

ჯიმ უორნერ უოლასი მესამე თაობის წარმომადგენელია თავის ოჯახში, ვინც იურიდიულ სფეროში მოღვაწეობს. ის დეტექტივი 30 წლის ასაკში გახდა. ჯიმს არ სწამდა ღმერთის. იგი ისეთ ოჯახში აღიზარდა, სადაც რაიმეს დასაჯერებლად მტკიცებულებების არსებობას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

„უარყოფდი ყოველივე ზებუნებრივს, არ მჯეროდა ზებუნებრივი ღმერთისა და სასწაულების არსებობის,“ — ამბობდა იგი, — **„მჯეროდა, რომ ყველაფერი, რაც სამყაროში ხდებოდა, ბუნებრივი, ფიზიკური პროცესებით აიხსნებოდა.“**

35 წლის იყო, როდესაც სახარება გამოჩნდა მის ცხოვრებაში, იმდენად დაინტერესა იესოს ისტორიამ, რომ ბიბლია შეიძინა. **„მინდოდა გამეგო, რისი თქმა უნდოდა იესოს.“** — იხსენებს ის. ჯიმი მას შემდეგ დაინტერესდა ღმერთის არსებობით, რაც აღმოაჩინა, რომ სახარება, შესაძლოა, „თვითმხილველთა ჩანაწერები“ ყოფილიყო. მისთვის კი, როგორც იურისტისთვის, ეს უკვე დოკუმენტაციას წარმოადგენდა, რომელზე დაყრდნობითაც გარკვეული დასკვნების გამოტანა შეიძლებოდა.

ჯიმიმ გადანაცვითა, სრულყოფილი გამოძიება ჩატარებინა იესოს შესახებ ისე, როგორც სხვა ჩვეულებრივ შემთხვევებში და მოეპოვებინა მტკიცებულებანი.

„როდესაც ქრისტიანები ისწავლიან, როგორ მიუდგნენ თავიანთ რწმენას მტკიცებულებათა საშუალებით და გამოიყენებენ ისეთივე მეთოდებს,

როგორებსაც დეტექტივები იყენებენ წარსულში მომხდარი შემთხვევის მოკვლევის დროს, ამის შემდეგ მოვლენები თავისთავად წარიმართება. ჩემი ღრმა რწმენით, იმ დროში, რომელშიც რაციონალურობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მხოლოდ მტკიცებულებებით გამყარებული რწმენა გადარჩება.“ — ამბობს ჯიმი.

იგი აღნიშნავს, რომ არსებობს ორი სახის მტკიცებულება: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი მტკიცებულება არის თვითმხილველის ჩვენება. არაპირდაპირი კი — ყველაფერი დანარჩენი. ადამიანები, რომლებიც პირადად იცნობდნენ იესოს, საკუთარი თვალთა ხედავდნენ იესოს სასწაულებს და ისმენდნენ მის სწავლებას, ამ საქმეში თვითმხილველები არიან. იესო არ მოელოდა, რომ მისი მიმდევრები მის სიტყვებს მტკიცებულების გარეშე დაიჯერებდნენ, ამიტომ საუბართან ერთად ახდენდა სასწაულებს, რომლებიც ერთგვარი არაპირდაპირი მტკიცებულებებია.

ჯიმი ამბობს, რომ მრავალ ადამიანს არ ესმის, რატომ უნდა დაეყრდნოს მტკიცებულებებს. ჩვენ ისეთ საუკუნეში ვცხოვრობთ, რომ უნდა შეგვეძლოს ჩვენი რწმენის დაცვა. ეს ის თაობაა, რომელსაც სასწაულების არ სჯერა.

„ფაქტსა და მოსაზრებას შორის ყოველთვის ფაქტს ენიჭება უპირატესობა, თანამედროვე სამყაროში განსაკუთრებულია იმ ადამიანის როლი, ვინც პირველი მიდის შემთხვევის ადგილზე,“ — ამბობს ჯიმი.

ქრისტიანებმა საკუთარ თავს უნდა დაუსვან კითხვა: „რატომა

ჩვენი რწმენა ჭეშმარიტი და როგორ ვიკვლიოთ შემთხვევა?“ ჯიმი აბობს: „სჯობს, ჩვენს ახალგაზრდებს დავეხმაროთ საჭირო უნარების გამომუშავებაში, დავინწყოთ მათი წვრთნა, რადგან სწავლა ღირებულია, თუმცა, წვრთნა გამოწვევებისათვის გვამზადებს.“

დეტექტივი გვიზიარებს 5 წესს, რომელიც დაგვეხმარება, გამოვიკვლიოთ სადავო საკითხები ქრისტიანობის შესახებ:

- მთლიანად წაიკითხეთ და შეისწავლეთ ბიბლია, როგორც ექსპერტმა.
- ბიბლიის კითხვისას იფიქრეთ ღმერთის არსებობის შესახებ მტკიცებულებებზე და დაფიქრდით, რას გამოიყენებდით მტკიცებულებად, დეტექტივი რომ ყოფილიყავით.
- ზედმინეწით გააანალიზეთ ბიბლია და აწარმოეთ ჩანაწერები.
- შეაჯამეთ და ჩამოაყალიბეთ ბიბლიური მტკიცებულებანი.
- ეცადეთ, წიგნის ფურცლების მიღმა წარმოიდგინოთ იესო, როგორც ისტორიული პიროვნება.

ჯიმიმ 2017 წელს გამოსცა წიგნი, სახელწოდებით „რწმენის ექსპერტიზა“.

„ამ თაობას მძაფრად შეეხო სხვადასხვა სოციალური საკითხი, თუნდაც ისეთი, როგორიცაა ლგბტ მოძრაობა. დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დროა, ჩვენი რწმენა რაციონალურ მტკიცებულებათა მეშვეობით გავამყაროთ,“ — წერს იგი.

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

(საბჭოთა პერიოდი 1921-1991)

მეორე მსოფლიო ომი


მეორე მსოფლიო ომი მიიმე ტვირთად დააწვა ყველას. გამონაკლისი არც კათოლიკე თემი გახლდათ. მრავალი ადამიანი ომის ფრონტზე გაიწვიეს. კათოლიკური ეკლესიაც და მრევლის წევრებიც თანხებით ეხმარებოდნენ ფრონტს. ომის პერიოდში ანტირელიგიური პროპაგანდის, ტაძრების დახურვისა და რეპრესიების გამო უკვე ისედაც შეთხელებული საკრებულოები მკვეთრად შემცირდა. მრევლის რაოდენობის

შემცირება შორეულ ყაზახეთში გერმანული მოსახლეობის დეპორტაციითაც იყო გამოწვეული. ეთნიკურ გერმანელებთან ერთად შერეული ოჯახებიც გადასახლეს — ყველა, ვინც გერმანულ გვარს ატარებდა.

ომის დასრულების შემდეგ მთელი ევროპის ტერიტორიაზე ინტენსიურად ეძებდნენ და აპატიმრებდნენ ყოფილ საბჭოთა ტყვეებს. მათთვის ერთადერთი თავშესაფარი და შემწე კათოლიკე ეკლესია აღმოჩნდა.

მრავალი განწირული იხსნა „რომაულმა მონასტერმა“, დასავლეთ ევროპაში კათოლიკურმა ეკლესიამ მრავალი ქართველი ტყვე გადაარჩინა საბჭოეთში დაბრუნებას, სადაც მათ სასტიკი სასჯელი არ ასცდებოდათ. ცნობილი მეცნიერი და ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერი **ვიქტორ ნოზაძე** (1893-1975) „რომაულ მონასტერში“ კრებითად მთელ კათოლიკურ ეკლესიას გულისხმობს.

მეორე მსოფლიო ომის შედეგ-



გად ქართული ემიგრაციის მეორე ტალღაშიც იყვნენ ის კათოლიკეები, რომლებმაც, ბედის უკუღმართობის გამო, ვერ შეძლეს სამშობლოში დაბრუნება. ბევრი მათგანი წარმატებულ საქმიანობას ეწეოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების სურვილს მუდამ გულით ატარებდა. საბჭოთა რეჟიმის დროს ეს შეუძლებელი იყო. ამიტომ უცხოეთში ცდილობდნენ საქმით გამოდგომოდნენ თავიანთ სამშობლოს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოეთში რელიგიის მიმართ პოლიტიკა შეიცვალა. ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მიმართული ომი - სამამულო, საყოველთაო და წმინდა ომად გამოცხადდა. მოსახლეობის ყველა ფენის დასარაზმავად რელიგიურ ორგანიზაციებსაც მიეცათ საშუალება, მორწმუნეებისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ თავგანწირვისაკენ მოეწოდებინათ. თავის მხრივ, ეკლესიები თავისი დანაზოგით უანგაროდ ეხმარებოდნენ ფრონტს. სტალინის ბრძანებით, 1943 წელს რელიგიების საქმეთა საბჭო შეიქმნა, რომელსაც დაევალა, სეკულარულ მთავრობასა და კანონგარეშე დარჩენილ რელიგიურ ორგანიზაციებს შორის შუამავალი გამხდარიყო. ომის შემდგომ კი დაიწყო რელიგიური ორგანიზაციების ოფიციალური რეგისტრაცია. საარქივო მასალების თანახმად, ამ რეგისტრაციით, 1946 წელს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში იყო: 53 მართლმადიდებლური ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესიის 4 ტაძარი, 22 სინაგოგა, 2 მეჩეთი, ერთი მოქმედი კათოლიკური ტაძარი თბილისში - წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა, და ერთიც რეგისტრირებული, მაგრამ, ფაქტობრივად,

არამოქმედი, სოფელ სხვილისის კათოლიკური ეკლესია. ასევე, საარქივო მასალებიდან ირკვევა ისიც, რომ სამხრეთ საქართველოს სოფლებში, სადაც კათოლიკური აღმსარებლობის მოსახლეობა სახლობდა, საბჭოთა კანონმდებლობით აკრძალვის მიუხედავად, ნახევრად ლეგალურად მოქმედებდნენ რელიგიური საკრებულოები. მორწმუნე კათოლიკეები (უმთავრესად ქალები), გვიან ღამით, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თვლემდნენ, დაკეტილ და კოლმეურნეობის საწყობად გადაქცეულ ტაძრებში ფარულად შედიოდნენ და სავარდს ღოცულობდნენ. გადამალულ ღურდის ღვთისმშობლის ქანდაკებას ოჯახებში მორიგეობით გადააბრძანებდნენ და მთელი ღამე ღოცულობდნენ. ღოცვებში ხშირად ბავშვები და მამაკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას.

პატრი კონსტანტინე საფარიშვილი, რომელიც 1936 წელს პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მართალია, საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ მას თბილისში ცხოვრება და მღვდელმსახურება აკრძალული ჰქონდა. პატრი კონსტანტინე, თბილისიდან 200-ოდე კილომეტრში მდებარე საკურორტო ქალაქ ბორჯომში დასახლდა და ფოტოგრაფობას მიჰყო ხელი. მას საცხოვრებლად ეს ადგილი შემთხვევით არ აურჩევია. ბორჯომიდან 20-ოდე კილომეტრში, საბჭოთა პერიოდში, საგულდაგულოდ დახურულ სასაზღვრო ზონაში, კათოლიკეებით დასახლებული სოფლები მდებარეობდა. კვირაობით, ბორჯომში ადგილობრივი ავტობუსებით ვითომ ექსკურსიაზე ჩამოსული მორწმუნეები ფოტოს გადასაღებად მიდიოდნენ პატრ

კონსტანტინესთან. ის კი, თავის ფოტო-ატელიეში, ფირების გასამჟღავნებელ მცირე ოთახში, ფარულად მღვდელმსახურებას ეწეოდა. ასწავლიდა კატექიზმოს, ნათლავდა ბავშვებს, იღებდა აღსარებებს და აზიარებდა მორწმუნეებს. კონსტანტინე საფარიშვილი 1958 წელს მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ცნობილი მეცნიერისა და მკვლევრის, კათოლიკე მღვდლის - მიქაელ თამარაშვილის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საქართველოში მიქაელ თამარაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი ჩატარდა. მართალია, ის, რომ მიქაელ თამარაშვილი კათოლიკე მღვდელმსახური იყო, ოფიციალურად არავის გამოუცხადებია; სასულიერო პირის, მით უმეტეს, კათოლიკეს და ვატიკანში მოღვაწის ხსენებაც და მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიმე სახის ღონისძიების ჩატარება, საბჭოური ცენზურის მოთხოვნათა გათვალისწინებით, იკრძალებოდა. მიუხედავად ამისა, ქართველმა ისტორიკოსებმა ცენზურისათვის თვალის ახვევა შეძლეს და დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის ხსოვნას სათანადო პატივი მიაგეს. კონფერენციაზე დამსწრეთაგან, ყველამ როდი იცოდა, რომ მათ წინაშე მოხსენებით გამოვიდა „ყოფილი“ კათოლიკე მღვდელი, რომელსაც, რომში 1909-1910 წლებში სწავლისას, კათოლიკე მღვდელ მიქაელ თამარაშვილთან პირადი მეგობრობა აკავშირებდა.

გაგრძელება იქნება

ნუგზარ პარღაველიძე



მესხმა კათოლიკეებმა ბუზმარეთში ამაღლების დღესასწაული აღნიშნეს

თაქო ფიქრიშვილი

21 მაისს კათოლიკურმა სამყარომ ქრისტეს ამაღლების დღესასწაული იზეიმა. მესხმა კათოლიკეებმა ამ დღეს, ტრადიციულად, თურქეთის საზღვართან მდებარე ბუზმარეთის ეკლესია მოილოცეს. წირვა ღია ცის ქვეშ, ეკლესიიდან მოშორებით აღევლინა, რადგან მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა კათოლიკეებს ტაძარში ან ტაძრის ეზოში წირვის აღვლენაზე უარი უთხრეს.

ბუზმარეთის სახელს ადიგენში, თურქეთ-საქართველოს საზღვართან, ორი ტაძარი ატარებს. ერთი საქართველოს სასაზღვრო ზონაში მდებარეობს და 2006-2007 წლებში სერგო და ანტონ მერაბიშვილებმა აღადგინეს უძველეს ნაეკლესიარზე. მეორე კი, საზღვრის გარეთაა. ორივე ტაძარი ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაშია, თუმცა კათოლიკეები აცხადებენ, რომ ეკლესიები სადავოა, რადგან მისი ისტორიული მესაკუთრეები კათოლიკეები არიან. ტრადიციულად, ამაღლების დღესასწაულზე ამ ტაძრების მოსალოცად დადიან როგორც კათოლიკეები (რომაული და სომხური წესის), ასევე, მართლმადიდებლები (საკუთარი ლიტურგიული კალენდრის მიხედვით).

გასულ წლებში მრევლი ამაღლების სადღესასწაულო წირვას სასაზღვრო ზოლის შიგნით მდებარე ტაძართან აღავლენდა. თუმცა წელს, იმ მიზეზით, რომ „საზღვარი დაკეტილია“, წირვა საზღვრის გარეთ არსებული ტაძრის მიმდებარედ აღევლინა.

მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა კათოლიკეებს წირვის ჩატარების უფლება არ მისცეს არც ტაძარში და არც მის ეზოში. მსახურება ტაძრიდან

მოშორებით, ღია ცის ქვეშ, კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ აღავლინა. მან მრევლს დისტანციის დაცვისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ყველა ადამიანის პირადი პასუხისმგებლობაა გაუფრთხილდეს საკუთარ და სხვის ჯანმრთელობას.

„გუშინ გადავწყვიტე მესხეთში ჩამოსვლა, მინდოდა, რომ ეს ყოფილიყო ნიშანი ჩვენი ერთად ყოფნისა. კორონავირუსის შეზღუდვების შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ხალხთან ერთად ტარდება წირვა. როცა დავწერე მეოთხე დეკრეტი, ვთქვი, რომ მრევლთან ერთად აღევლინება წმ. წირვა, მაგრამ ხალხს აქვს პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლები ვართ როგორც ჩვენი რწმენის, ასევე, ჩვენი ჯანმრთელობისა“, – განმარტა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ.

ლიტურგიაზე მასთან ერთად კათოლიკე ეკლესიის მოძღვრები და უდის, არლის, ვალისა და ახალციხის მრევლი იმყოფებოდა.

ტაძართან მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველებიც. ისინი ლიტურგიის განმავლობაში მრევლს დისტანციის დაცვისკენ მოუწოდებდნენ.

ქრისტიანები ამაღლების დღესასწაულს აღდგომიდან მეორმოცე დღეს აღნიშნავენ. საეკლესიო სწავლებით, ქრისტე მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ეცხადებოდა თავის მოწაფეებს, ესაუბრებოდა მათ ღვთის სასუფეველზე და მოუწოდებდა, დარჩენილიყვნენ იერუსალიმში „სულიწმიდის მოფენამდე“.

აღდგომიდან მეორმოცე დღეს ქრისტე მოწაფეთა თვალწინ ამაღლდა ზეცად.

წყარო: „სამხრეთის კარიბჭე“



TDI: რელიგიის თავისუფლების ანგარიში 2010-2019



6 მაისს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა (TDI) გამოაქვეყნა ანგარიში: რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში.

ანგარიშში შეფასებულია 2010-2019 წლებში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის პრობლემატიკა და ტენდენციები. ასევე წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები. ანგარიშში სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია:

- სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა;
- რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მანდატი და როლი;
- რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება და მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მინიჭებული პრივილეგიები;
- რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის საკანონმდებლო ინიციატივები და დისკრიმინაციული კანონმდებლობა;
- საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები;

- რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულები და სახელმწიფოს რეაგირება;
- საკუთრებასთან, რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობასთან და დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები;
- საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალობის დარღვევისა და დისკრიმინაციის პრობლემა.

ანგარიშის ონლაინ ვერსია შეგიძლიათ ბმულზე:

http://tdi.ge/sites/default/files/tdi-angarishi-religiis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf

საქართველოს პრეზიდენტი რომის პაპს, ფრანცისკეს ესაუბრა

საუბარი შეეხო კორონავირუსის კრიზისის პერიოდში საერთაშორისო სოლიდარობის მნიშვნელობას. საქართველოს პრეზიდენტმა რომის პაპს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქისაგან გულთბილი მოკითხვა გადასცა და აღნიშნა, რომ სწორედ საერთაშორისო სოლიდარობის მნიშვნელობაზე ესაუბრა დღეს კათოლიკოს პატრიარქს შეხვედრისას.

საუბარი შეეხო, ასევე, მსოფლიოში ეკოლოგიურ მდგომარეობასა და გარემოსდაცვით საკითხებს, რომელიც რომის პაპის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოსათვის ეკოლოგიის დაცვა და ქვეყანაში არსებული ეკოსისტემების შენარჩუნებაზე ზრუნვა ძალიან მნიშვნელოვანია. რომის

პაპმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარემოსდაცვით საკითხებში იგი საქართველოს სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

საქართველოს პრეზიდენტი რომის პაპს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან და იქ შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისთან დაკავშირებით ესაუბრა. რომის პაპმა განაცხადა, რომ კრიზისის დროს კიდევ უფრო

ნათლად ჩანს რამდენად დიდია ურთიერთსაჭიროება და ერებს შორის ძმობის აუცილებლობა.

რომის პაპი 14 მაისს პანდემიისაგან დედამიწის ხსნისათვის ლოცვას აღავლენს. მან საქართველოს პრეზიდენტს ალუთქვა, რომ ილოცვებს საქართველოსთვის, როგორც უდიდესი სულიერების მქონე და მისთვის ძვირფასი ერისათვის.



ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

ეკლესიებში ღვთისმსახურებაზე დასწრებისას ვითვალისწინებთ
„კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული დეკრეტი 4“-ის მითითებებს

- 1 ივნისი – წმ. ნინოს შემოსვლა საქართველოში, კახეთის ხიზაბავრის დღეობა
- 7 ივნისი – ყოვლადწმიდა სამების დიდდღესასწაული
- 11 ივნისი (ან 14 ივნისი) – ხორცი და სისხლის უფლისა, დიდდღესასწაული
- 12 ივნისი – წმ. გასპარე ბერტონე, სტიგმატელთა კონგრეგაციის დღესასწაული
- 19 ივნისი – იესოს ღვთიური გულის დიდდღესასწაული, ასპინძის ხიზაბავრის საკრებულოს დღეობა
- 24 ივნისი – წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა, ბათუმის სული წმიდის სახელობის ახალი კათოლიკური ეკლესიის კურთხევის 20 წლისთავი
- 27 ივნისი – რაბათის წმ. სავარდის სახელობის ეკლესიაში სემ. ბექა ჩილინგარაშვილის დიაკვნად კურთხევა
- 29 ივნისი – წმ. პეტრე და პავლე მოციქულნი, თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის დღეობა



იოანე პავლე II
1920 - 2020

100

"ნუ გეშინია, გახსენით,
მართლაც გახსენით
კარი ქრისტესთვის!"

Joannes Paulus II



მთავარი რედაქტორი: მ. გაბრიელე ბრანგანინი CSS
სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ ბარდაველიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ღალანაძე, ციციკო ხითარაშვილი
თექნიკური მხარდაჭერა: მღვდ. მიხეილ სურმაგა, თამარ სტეფანაძე
მისამართი: ჟურნალ „საბა“ რედაქცია, გია აბესაძის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო;
E-mail: sabamedia@gmail.com; www.sabamedia.ge; www.facebook.com/sabamedia/
რეგისტრაციის №1853, დაარსდა 1994 წ. მანანა ანდრიაძის მიერ, © „საბა“, 2020.